

ელექტრონული სწავლების მნიშვნელობა და მასწავლებელთა მზაობის
კვლევა ზემო სვანეთისა და თბილისის სკოლებში

ნატო სამხარაძე

ჯგუფი#25

*სამაგისტრო პროექტის ანგარიში წარდგენილია ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის
ბიზნესის სკოლაში*

თემის ხელმძღვანელი: ალექსანდრე ერგეშიძე, ასოცირებული პროფესორი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020 წელი

განაცხადი

„როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

ნატო სამხარაძე

03.07.2020

აბსტრაქტი

ათწლეულების მანძილზე, სწავლა-სწავლების პროცესის რევოლუციურმა განვითარებამ და გამოგონებების შედეგად მოტანილმა ცვლილებებმა გზა გაუკვალა ელექტრონულ სწავლებას. კავშირი მოსწავლესა და მასწავლებელს, ისევე როგორც მოსწავლესა და ცოდნას შორის იცვლება და გულისხმობს სხვადასხვა სამუშაო პრაქტიკას.

მსოფლიო პანდემიის პირობებში, რესურსების არსებობა არ არსებობის იგნორირებით, საქართველო იძულებული გახდა სწრაფად გადასულიყო თანამედროვე სწავლების მოდელზე და აღნიშნული თემა განსაკუთრებით აქტუალური გახდა.

მოცემული კვლევა ემსახურებოდა ელექტრონული სწავლებისადმი თბილისისა და ზემო სხვანეთის მასწავლებელთა მზაობის განსაზღვრას რეგიონული განსხვავებების გათვალისწინებით. ასევე სახელმწიფოს ნაბიჯების ეფექტურობისა და ინვესტიციების საჭიროების დადგენას.

კვლევის შედეგად გაირკვა, რომ მასწავლებლის განწყობაზე მოქმედი მნიშვნელოვანი ფაქტორი არის ტექნოლოგიური მზაობა (ინტერნეტი, კომპიუტერი) და საინფორმაციო ტექნოლოგიების (ისტ) ფლობის დონე. კარგად გამოჩნდა რეგიონის ფაქტორის გავლენა ამ ორ ელემენტზე. მზაობის დონის განსხვავებული მაჩვენებელი ადასტურებს, რომ აუცილებელია რეგიონული კვლევების ჩატარება, რათა შესაძლებელი გახდეს ფინანსური რესურსის სწორ ფაქტორებზე განაწილება და გამართული განათლების მენეჯმენტის სისტემის შემუშავება.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ელ-სწავლება, მასწავლებელთა მზაობა, ტექნოლოგიური მზაობა, ინფორმაციული-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (ისტ), სასწავლო მენეჯმენტის სისტემა.

Abstract

The revolutionary development of the learning process and the changes brought by the innovations over the decades have paved the way for Electronic learning. According to the modern trends and the demand on the market the connection and the relationship between students and teachers, as well as students and knowledge varies and means different work experience.

Due to pandemic, Georgia had to face the difficulties of moving to the modern day learning model in a rapid manner while ignoring the existence and/or lack of the resources.

The main goal of this research is to determine the readiness of Tbilisi and Upper Svaneti (Mestia) school teachers for e-learning, taking into consideration the regional differences. Also determining the need for investment.

As a result, it is clear that technology readiness (internet, computer) is a crucial factor in process of determining the readiness levels. Furthermore, it clarified the influence of the regional factors on ICT level. It determined the current frame of mind, Technology readiness and future point of view of the teachers. At the same time the research showed comprehension level of information and communications technology (ICT).

The difference between the levels of readiness proves that it's important to do more regional researches, in order to spread the financial resources on the appropriate factors and implement a correct education management system.

Key words: E-learning, teacher readiness, technology readiness level (TRL), information and communications technologies (ICT), Education management system.

მადლობა

მადლობას ვუხდით თემის ხელმძღვანელს, ბატონ ალექსანდრე ერგეშიძეს კვლევის პროცესში გაწეული დახმარებისთვის.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური წერის ცენტრის დირექტორის თანაშემწეს ნინო გალდავაძეს აკადემიური წერის სტანდარტებისა და დამატებითი დამხმარე ინფორმაციის მოწოდებისა და ახსნისთვის.

ასევე დიდი მადლობა ილიაუნის ახალგაზრდა მკვლევართა კლუბების ქსელის კოორდინატორ მასწავლებლებს და ზემო სვანეთის სკოლების დირექტორებს თანამშრომლობისთვის.

განსაკუთრებული მადლობა გოგიტა პაპალაშვილს, მონაცემების დამუშავებისა და წერის პროცესში გაწეული დახმარებისთვის.